თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4499954

ნომერი: AR1678434

თარიღი : 01.05.2019

გაცემის თარიღი : 15.05.2019

გაცნობის თარიღი : 15.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 01 მაისის №AR1678434 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019

წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, N22-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.02.010.085), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის №4351422 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 იანვრიდან 2021 წლის 28 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად 35538.5 კვ.მ-ის ნაცვლად 36942.1 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 19296.5 კვ.მ-ის ნაცვლად 20989.8 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 666.8 კვ.მ-ის ნაცვლად 660.7 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 3177.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3527.3 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 3296.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2678.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4990.4 კვ.მ-ის ნაცვლად 4966.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 4111.8 კვ.მ-ის ნაცვლად 4119.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 36942.1 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 20989.8 კვ.მ, საოფისე ფართობად 660.7 კვ.მ, კომერციულ ფართობად 3527.3 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 2678.2 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 4966.7 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 4119.4 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებით შეთანხმებული -1; 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22 სართულის გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 01 მაისის №AR1678434 განცხადებით წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.